საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანძავი

ანძავი, სოფელი სამხრ.-დას. საქართველოში, ტაოში, მდ. ოლთისის მარცხ. შენაკადის ანძავისწყლის ხეობაში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.).

სოფელი მდებარეობს ხეობის შუა ნაწილში, ჩრდ.-დას-იდან აკრავს მაღალი კბოდე, აქ XX ს. დამდეგს (1907) შემორჩენილი იყო საკმაოდ კარგად შენახული ციხესიმაგრე. იგი შედგებოდა ერთმანეთთან მაღალი გალავნით დაკავშირებული სამი ოთხკუთხა კოშკისაგან. ციხის შიგნით იდგა მცირე ზომის, თლილი ქვით ნაგები, მოხატული დარბაზული ეკლესია. სოფლიდან ციხისკენ მიმავალ გზას იცავდა კოშკი. ხეობის, სოფლისა და ციხის მფლობელი იყო ანძაველთა ფეოდ. საგვარეულო, რ-იც XVI ს. დამდეგს იხსენიება წყაროებში.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; შ ა რ ა შ ი ძ ე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV – XVI სს.), თბ., 1961; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ა. თორდია